ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 78
(11 739)

10 - 13 ოქტომბერი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერში:


- ლიხს იქით და ლიხს აქეთ...
- ქართული რაგბი დიდ გავოცდაზე
- ჯუნგლის რეციდივი ქართულ ფეხბურთში
- მსაჯები იგონებენ...
- ულტიმატუმი ექტორ კუპერისათვის
- ევროპული კლუბები ნბა-ში?
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი


## რუსეთი – საქართველო
### ეროვნული ნაკრებები

ხვალ, ავსტრიელი მსაჯის კონრად პლაუტზის ხელმძღვანელობით რუსეთ-საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩის დაწყებას გავაუწყებს. ქართველთა დელეგაცია უკვე მოსკოვშია. ორივე გუნდმა დისლოკაციის ადგილებს მიაშურა. მატჩებამდე ვარჯიშების გრაფიკიც განსაზღვრულია. ეგ არის, რომ რუსეთის დედაქალაქი ჩვენებურთ პირქუშად დაუხვდა. მოსკოვში ქარიანი, წვიმიანი ამინდია და თუ ვისთვის გამოდარებს შაბათს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, მასპინძლებისთვის თუ სტუმრებისთვის, ამას ხვალ საღამოს შევიტყობთ.

შეგახსენებთ, ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 11 ოქტომბერს თბილისის დროით 20.30 წუთზე დაიწყება.

ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 3 | 3 | 1 | 13-11 | 12 |
| რუსეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-11 | 11 |
| ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-15 | 8 |
| საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

## ნომრიდან – ნომრამდე...

● 7 ოქტომბერს ჯერ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, შემდეგ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში საზეიმო შეხვედრა და პრესკონფერენცია მოეწყო საორგანიზაციოდან დაბრუნებულ მერანულ-რომაული სტილის მოჭიდავეებთან, რომლებმაც შინ ოქროსა და ბრინჯაოს თითო მედალი, ათენის ოთხი ლიცენზია და გუნდურში მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრიზიც ჩამოიტანეს. ისევე როგორც თავისუფალი სტილის წარჩინებული ფალავნები, „ლასკოსებიც“ სეოლ-ის ოლიმპიური ფონდის ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ.

● საქართველოს სამბოს ფედერაციამ **სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო უფედერაციოდან 2 მილიონ შეტყობინება, რომ მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ნაცვლად 22-24 ოქტომბრისა გაიმართება 6-10 ნოემბერს, სანქტ-პეტერბურგში, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც დაესწრება. ჩემპიონატზე ჩამოვა ბერეზოვკა სოფის პრეზიდენტი ჯაკ როგი. როგორც ჩანს, გაიმართება სპეციალური საუბარი სპორტის ამ რუსული სახეობისადმი ოლიმპიური სტატუსის მინიჭების თაობაზე.**

● **თბილისში „დინამოს“ კორტებზე** დაიწყო სახელგამოჩენილი ფუტერანი ქართველი ჩოგბერთელის ალექსანდრე მერკუშევის სახელობის, ამჯერად რიგით უკვე მეოთხმეტე საჩოგბერთო ტურნირი 10, 12, 14 და 16 წლამდელთა შორის. მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ალექსანდრე მერკუშევი, რომელიც ტურნირს თავად მიადევნებს თვალს.

## ქართველმა მოჭიდავეებმა თავიანთი წარეგზავნა სამშობლოს მიუძღვნეს

— გილოცავთ დიდ წარმატებას, ამ გამარჯვებით თქვენ გაახარეთ ქართველი ხალხი, ამით თქვენც მეგნიერი ხართ და ჩვენც. ვიცოდი, რომ შეძლებდით წარმატებული იქნებოდა, მაგრამ ასეთს არ ველოდი, — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიოს ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ედგარ კუტანიძეს, მსოფლიოს ჩემპიონს ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში მანუჩარ კვარაცველას, მესამე ადგილის მფლობელებს რევაზ მინდორაშვილსა და რამაზ ნოზაძეს, 8 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით გობეჩიშვილი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, ეროვნული ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელები ზაზა თორანძიძე და მერაბ დარჩია.

ქართველმა მოჭიდავეებმა ულრმესი მადლობა მოახსენეს საქართველოს პრეზიდენტს თანადგომისა და ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი ყოველთვის გრძნობენ.

— ჩვენი წარმატებები საქართველოს ეძღვნება, — მიმართა ქეციანს მეთაურის ედგარ კუტანიძემ, — გვინდა დავარწმუნოთ: ჩვენ თქვენს გვერდით ვდგავართ და მივეპარნა, რომ ყველა პრობლემა ერთად უნდა დავძლიოთ. პირობას გაძლევთ, ათენის ოლიმპიურ ასპარეზობაზე უკეთეს შედეგებს ვაჩვენებთ.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით გობეჩიშვილმა საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის და დასძინა: „სპორტსმენებისათვის დიდი სტიმული იყო ის, რომ თქვენი ფონდიდან მათ პირნარევი გამოუცვიათ“.

— ქართველი მოჭიდავეები ყოველთვის გვანებივრებდნენ წარმატებით, — ბაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — რა თქმა უნდა, ისინი ბევრ სიცეცხლს იმსახურებენ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამჟერად ქვეყანას მეტის გაკეთება არ შეუძლია. ქართველი სპორტსმენები დაპირდნენ საქართველოს პრეზიდენტს, რომ ათენის ოლიმპიურ ასპარეზობაზე უკეთეს წარმატებას მოაღწევენ და იქ უთუოდ აღფერფერებს საქართველოს ჰიმნი და ფიროსლები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ, მადლობა გამოეცხადათ რუსთავში მოღვაწე სხვადასხვა დარგის მეშვაკებს.

ღირსების მედლით დაჯილდებულთა შორისაა: **თამარ ხმელიძე** — საკალათბურთო გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

მათ შორის, ვისაც პრეზიდენტის მადლობა გამოეცხადათ, არიან: **მაღლაზ ბოლქვაძე** — სპორტული სკოლის დირექტორი; **რამაზ გოგობერიშვილი** — სპორტსმენი და ტურნირების სამსაჯრის უფროსი.

## შეკითხვა „ლელოს“!

**შეკითხვა: ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჩვენმა ფეხბურთ ოლიმპიელებმა ბაიგანში გამართულ მათემატიკოსთა მსოფლიო ოლიმპიადაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს.**

**გამოდის, რომ ჩვენ გვყავს ოლიმპიური ჩემპიონები. თუ ასეა, გთხოვთ დაგვიდასტუროთ ან განგვიმარტოთ რაშია საქმე.**

**მერაბ ჩიქოვანი, ქუთაისი.**

**პასუხი:** ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ოლიმპიური თამაშები, რომელიც ტარდება სპორტის ოლიმპიურ სახეობებში და ჩვეულებრივი ოლიმპიადები. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონად იეთქება ის, ვინც გაიმარჯვა ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. ხოლო ვინც წარმატებებს მიაღწია ფეხბურთის, მათემატიკოსთა, ჭიდაოსთა, ▪მოშიერალ-მოცეკვავეთა თუ საბურაკო ოლიმპიადებში, იწოდებიან ოლიმპიადის გამარჯვებულებად და არა ოლიმპიურ ჩემპიონებად.

## ქართული რაგბი დიდ გავოცდაზე

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს.

## ჯუნგლის რეციდივი ქართულ ფეხბურთში

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს.

## მსაჯები იგონებენ...

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს.

## ულტიმატუმი ექტორ კუპერისათვის

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს.

## ევროპული კლუბები ნბა-ში?

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს.

## საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ფავორიტები, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ფსიქოლოგიურ ტვირთს.

## მილოცვა

**საქართველოს ნაკრებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში**
**მეიროფსო თანამემამულეებო,**

მთელი ქვეყნის სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეულ ბრწყინვალე გამარჯვებებს. რამაც საქართველოს გუნდური პირველი ადგილი მოაპოვებინა.

ეს არის ერთ-ერთი უდიდესი წარმატება დამოუკიდებელი საქართველოს სპორტულ ისტორიაში და იგი ნაკრების თითოეული წევრის მწვრთნელთა და გულშემატკივართა დამსახურებაა.

თქვენ დაადასტურეთ და დაამტკიცეთ, რა შეუძლია ქართულ ფენომენს, მთელი მსოფლიოს თვალწინ წარმოაჩინეთ სამშობლო, რომელიც გულწრფელად გიდგებით მადლობას ამ სიხარულისა და სიამაყისათვის.

გისურვებთ შემდგომ გამარჯვებებს, განსაკუთრებით კი დიდ ოლიმპიურ სარბიელზე. საქართველო ამას იმსახურებს და მიაღწევს კიდეც თავისი საუკეთესო შვილების ძალისხმევით.

ედუარდ შევარდნაძე

## ირაკლი მექმარიაშვილი: „საქართველო მსოფლიო ასპარეზზე, ალბათ, უფრო სპორტით და კულტურით გამოჩნდება“

*კიდევ ერთი უნიკალური ფურცელი ჩაიწერა ჩვენი სპორტის ისტორიაში: საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებმა საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა.*

*პარიზში, სასტუმრო „ქალაფორნიის“ ფოიეში სახელდახელოდ შეხვედით ბატონ ირაკლი მექმარიაშვილს – საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს და კომენტარი ვთხოვეთ:*

— ჩემპიონატში 70 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა შვიდ წონით კატეგორიაში. ეს ასპარეზობა იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ, ფაქტობრივად, ათენის ოლიმპიური თამაშების „გენერალური რეპეტიცია“ იყო. ამ ჩემპიონატში საქართველოდან შვიდი სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთაგან ოთხმა მოახერხა ათენის ლიცენზიების ალება. დანარჩენი სამი, ალბათ, მომავალ საერთაშორისო ტურნირებზე ხელანლა ცდის ბედს მათ მოსაპოვებლად. საგულისხმოა, რომ საერთოდ, გუნდური შეფდვით, სპორტული ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. გვაქვს ერთი ოქროს მედალი (მანუჩარ კვარაცველა), ერთი ბრინჯაოს მედალი (რამაზ ნოზაძე), ბრონზის მედალი (რამაზ ნოზაძე), ბრონზის მეტქსე. მერე და მეორეხარისხოვანი ღირსშესანიშნავია.

ამერიკაში ლიცენზირებულ ხუთ კაცს აქედან ოთხს თუ მივუთვლით, ცხრა სპორტსმენი იასპარეზებს ოლიმპიური მედლებისათვის, თანაც, ფაქტობრივად, მათ გამარჯვების ყველა შანსი აქვთ. რაც შეეხება, მაგალითად, რამაზ ნოზაძეს, მას ახლოლეტერად უმიზეზოდ მოეცარა ხელი ნახევარფინალში და იგი ბრინჯაოს მედალზე გაცილებით მეტს იმსახურებდა. ვიმედოვნებ, რომ მომავალში რამაზი გაცილებით უკეთ იასპარეზებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ სპორტის დეპარტამენტს უამრავი პრობლემა და თავსატეხი აქვს. მე არ დავწერილებებით და ჩვენს გასაჯარო დღტალურად არ ვისაუბრებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა ფორმირებამ (როგორც მოგეხსენებათ, არჩევნები კარზეა მიმდგარი და ძნელია იმის პროგნოზირება თუ ვინ გაიმარჯვებს) ყურადღებიც უნდა მიაქციოს ხელი ეროვნულ სპორტს და მის განვითარებას, რადგან ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მსოფლიო ასპარეზზე, ალბათ, უფრო თავისი სპორტი და კულტურით გამოჩნდება. ეს აზრი იმანაც გამიძლიერა, რომ გუშინ, როდესაც საზეიმოდ დაიხარა მსოფლიოს ჩემპიონატი, ქართული ჰიმნი აჟღერდა. მსგავსი რამ ძალზე იშვიათად ხდება და ძალზე რთული მისაღწევიცაა.

ესაუბრა ვლადიმერ ზარიძე,
„ლ“. ხაკ. კორ.
პარიზი, 2003 წლის 6 ოქტომბერი.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების 2 წელიწადი და 5 თვე გვაშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 312 დღე დარჩა

ჩაებით ფესტივალის ღონისძიებებში

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## სამხედრო-გამოყენებით სამჭიდრო

ბათუმის საავტომობილო სკოლის ბაზაზე ჩატარდა აჭარის რემპიონატი და საქართველოს ზონალური პირველობა (აჭარის ზონა) სამხედრო-გამოყენებით სამკიდში (სროლა პნევმატური შაშხანიდან, ღუნვაზე მიზიდვა და რბენა 100 მეტრზე). მონაწილეობდნენ საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონალური სამმართველოს სასაზღვრო რაზმი „ბათუმის", საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრის, ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის საავტომობილო სკოლებისა და ბათუმის საზღვაო ოლქის, ჩოხატაურის საავტომობილო სკოლის გუნდები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სამკიდის ჯაჭვში გამარჯვებული გამოვიდა ბათუმის საავტომობილო სკოლის გუნდი. მეორე ადგილი წილად ხვდა საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონალური სამმართველოს სასაზღვრო რაზმის გუნდს. მესამეც იყო ჩოხატაურის საავტომობილო სკოლის გუნდი.

პირად ჩათვლაში სამკიდის ჯაჭვში ჩემპიონი გახდა ზურაბ ანთაძე (სასაზღვრო რაზმი „ბათუმი"), მეორე იყო ლევან სერგმანიე (ბათუმის საავტომობილო სკოლა), მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს მერაბ დიასამიძემ (სასაზღვრო რაზმი „ბათუმი") და კონსტანტინე წიტაიშვილმა (ბათუმის საავტომობილო სკოლა).

**ოთარ მურვანიძე,**
**„ლელოს" ხაკ. კორ. ბათუმში.**

## ზუგდიდს ფეხბურთი უნდა დაუბრუნდეს!

ზუგდიდის ფეხბურთის ურთულესი დღეები უდგას. „ლაზიკას" გარშემო ატეხილი ამაოებები ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. ცნობილია ისიც, თუ როგორ სავალალოდ დასრულდა ეს ყველაფერი. ზუგდიდი უფეხბურთოდ დარჩენის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ აშ, თითქმის გამთავარ სატრაკციაში გამოჩნდა პირიფეხა, რომელმაც სპორტის ამ პოპულარული სახეობის გადარჩენის მთავარი იტერთა ჩვენს ქალაქში. ეს გახლავთ „ეროფლური თანმხმობა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" თავმჯდომარე გურამ აბსაძე, რომელმაც ალაორძინა ზუგდიდის „დინამო", და ეს გუნდი დღეს რეგიონალის დასავეთი ზონაში ასპარეზობს, ამაგდროულადაც გ. აბსაძე კლუბის პრეზიდენტიცაა.

გუნდის გეგმებსა და პრობლემებზე „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გელა ბუკიამ შემდეგი განაცხადა: „შეეიქმნათ 3-4-წლიანი სამოქმედო პროგრამა, რომლის უმთავრესი მიმართულება ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებისან მუშაობაა, მიმდინარე სეზონ-შივე დავისახეთ მიზნად პირველი ლიგის საჯუთრის მოპოვება. სეზონის შემდეგ, სატრანსფერო პოლიტიკის გატარებით უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-3 ფეხბურთელის ტრანსფერი. ამ ტრანსფერებიდან შემოსული თანხები უნდა მოხმარდეს თუნდაც საქართველოს ღიხეზე ნორმალური საკლუბო ინფრასტრუქტურის შექმნას. დღესდღეობით ქალაქს ფინანსური პრობლემა არ გააჩნია. ჩემმაინიტაში უდანაკარგოდ ვიბრძვით და, რაც მთავარია, ჩვენი ახალგაზრდები თამაშიდან თამაშამდე პროგრესს განიცდიან, იძენენ ფიზიკურ დაღლილობას და, იმედია, სეზონიც ამაღლებულ ნოტაზე დასრულდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გადაუჭრელ პრობლემად ცენტრალური სტადიონის დირეკციასთან ურთიერთობა რჩება. საქართველოში ალბათ უფრო საკალათო მდგომარეობაში მყოფი სტადიონი არ მოიძებნება. მოედანი უეარგისია, ტრიბუნებზე სკამები არ არის. ბასკეტელები მოიწუწკინებელია.

ვფიქრობთ, ყველაფერი მოგვარდება, რადგან სამეს კარგი პირი უჭირს.

**ბეჟლა ნაჯყიდია,**
**„ლელოს" კორეს პონდენტი სამეგრელოს რეგიონში.**

## სამგო. საქართველოს თასის გათამაშება

გამარჯვებულები. ფოტო რომპრტ ბაგოთანია

შეჯიბრება გაიმართა ლ. თედორაშვილის სახელობის სპორტკლუბის დარბაზში (დიღმის მასივი). მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრებები გუნდები, სულ 152 სპორტსმენი.

**52 კგ:** 1. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო), 2. გიორგი ოძაშვილი, 3. ილია დადღილაშვილი (ორივე — თბ) და ნუცრი ბერიანი (ფოთი); **57 კგ:** 1. გელა ბარათაშვილი (ზაზვრი), 2. ავთანდილ ცინცაძე, 3. ლევან ქორიძეი (ორივე — თბ) და მამუკა ზაზაშვილი (ქარელი); **62 კგ:** 1. ლევან სიმონიშვილი (საგარეჯო), 2. გალერი გიგიბერია (ფოთი), 3. თემურ მეფარიძე (ქუთ) და მალხაზ კუპრაძე (ყასპი); **68 კგ:** 1. მამუკა სახვაძე (ლორი), 2. დავით შენგელია (ფოთი), 3. სოსო მეზვრიშვილი და გელა კბილაშვილი (ორივე — თბ); **74 კგ:** 1. მერაბ ფანტულაია, 2. თორაბ ახალაია (ორივე — თბ), 3. ცოტნე ფალიაშვილი (ზუგდ) და ვახტანგ ყუთუთიშვილი (ყასპი); **82 კგ:** 1. ლევან წოკლაური (დედ. წყარო), 2. გია გოგებაშვილი (საგარეჯო), 3. ლევან ხუბუტიძეი (ლორი), დავით პეტრიაშვილი (რუსთი); **90 კგ:** 1.სოსო პაპლაშვილი, 2. გიორგი მურაბაშვილი (ორივე — გორი), 3. მიხეილ რაში და გიორგი გურულიშვილი (ორივე — თბ); **100 კგ:** 1. დავით ლილუაშვილი (თბ), 2. გიორგი დარჩაული (რუსთი), 3. ფრიდონ აბუთაძე (აბმტა) და გიორგი ჭინტერია (გორი); **პლუს 100 კგ:** 1. ზვიად წოკლაური (თბ), 2. ლევან თაბორიძე (ყასპი), 3. ლევან გორგაძე და ბესიკ ივანშვილი (ორივე — თბ).

სამწუხაროა, რომ მცხეთისა და დუშეთის რაიონებმა დაიგიწყეს მედიდარი ტრადიციები და ბოლო ხანებში ან თავს არიდებენ შეჯიბრებებს ან სულაც შემდგენლობით მონაწილეობენ. სამაგალითოდ კი შეიძლება მოვიყვანოთ ახმეტის რაიონი, სადაც სამი ერთ-ერთი წამყვან სპორტის სახეობად იქცა რაიონში და იქაურები, ბოლო ხანებში თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ.

# ფოტო - არქივიდან...



„ლელოს" 73-ე ნომერში გამოქვეყნდა ფოტოსურათი რედაქციის არქივიდან, რომელზედაც აღბეჭდილია 50 წლის წინათ ქართველ ჭიდაობაში საქართველოს გუნდურ პირველობაში გამარჯვებული თბილისის მოჭიდავეთა გუნდი. მკითხველს ვთხოვდით ამოეცნოთ ფოტოზე აღბეჭდილი ფალავნები. მეორე დღესვე რედაქციაში გვეწვია ცნობილი ჭიდაობის სმონ მოსხოვრაძე, რომელმაც დიდი სიამოვნებით გაიხსენა შორეული წარსული და დაგვასახელა თანამეგუნდეები. მარცხნიდან: თენგიზ მოსხოლიძე (უმსატესი წონა), ლაერენტი კაციაშვილი (მძატე), თენგიზ ელერდაშვილი (64), ბერთოლ ელერდაშვილი (68), ზაური მუხიაშვილი (78), სიმონ მოსხოლიძე (72), ბაია თედეევი (მძიმე), შოთა ეცაბაშვილი (ქუმბიმე).

# ღვაწლმოსილი ქალბატონი

ოჯახური არქივიდან

გასული საუკუნის 50-იანი წლების თბილისსა და თბილისელებს კარგად ახსოვთ სოლოლაკში მცხოვრები ოთხი უღამაზესი ასული, დები წერაძენი, ჯერ კიდევ მაშინ „თბილისის კოლორიტებად" აღიარებულნი: დუდუნაზა, მარგო, რუსუდანი და ლილი. მათ ფიზიკურ მშვენიერებას შესანიშნავად ერწყმოდა ნიჭი, ენერგია, შრომისმოყვარეობა, რისი მემკვიდრეობაც არც ერთი მათგანი არ დარჩენილა საზოგადოების ყურადღებისა და სიყვარულის მიღმა.

საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციასა და აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი ჭადრაკის სასახლის აჭტიურმა ფუნქციონირებამ, რომლის სათავეშიც მისი დაარსებიდან, 1973 წლის 14 აპრილიდან, 20 წლის მანძილზე იდგა ლილი წერაძე. მას სიყვარულით „სასახლის დიასახლისსაც" ეძახდნენ. მისი უშუალო თაოსნობითა და ორგანიზატორობით ჭადრაკის სასახლეში უამრავი სერთაშორისო ტურნირი, კონფერენცია თუ სიმპოზიუმი ჩატარებოდა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები სამართლანდ აღნიშნავდნენ ქ-ნ ლილის განსაკუთრებულ ორგანიზაციულ უნარს, რასაც ერთგოდა მისი სითბო და ზარმი. აი, რას წერდა მასზე ცნობილი „საბჭოთა ჭილი" ფიდე გენერალური მდივანი, ქ-ნი ი. ბაკერი: „ადა არ ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ არ შეგხვედრივარ მსგავს ლამაზსა და კეთილშობილ გარემოს, ვიდრე ეს სუფთეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ოპერატიული, საქმიანი და უმშვენიერესი ქალბატონის — ლილის ხელმძღვანელობით" (1981 წ. №8).

ლილი წერაძე ბავშვობიდანვე გატაცება ჭადრაკით. დებიტი წარმატებული ჰქონდა, რასაც მოჰყვა გამარჯვების სხვადასხვა ტურნირებში... მაგრამ მალევე მოუხდა მოჭადრაკის მსახიობ სტატუსი შეცვლა. 1970 წელს ლ. წერაძეს ფიდეს კონგრესებზე მიანდა ჭადრაკის საერთაშორისო არბიტრის საპატიო წოდება და მისი გვარი ფიდეს „ოქროს წიგნში" შეიტანეს.

ლ. წერაძის დირექტორობის პერიოდში ქართველ მოჭადრაკეთა ქრა გადაიქცა საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების უპირველეს ცენტრად. აქ ტარდებოდა მსოფლიოს, ევროპის, სსრკ-სა და საქართველოს ტურნირები, მატჩები და ფესტივალები.

1982-1987 წ.წ. ფუნქციონირებდა საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, იმართებოდა თემატური გაფილმები, დიდოსტატთა საღამოები — ყველაფერი ეს დიდად ახარებდა როგორც მოჭადრაკეებს, ისე მათ ქომაგებს. თვით ლილი წერაძე ჭადრაკის სასახლეს „მოჭადრაკეთა ოჯახს" ეძახდა: „იგი ჩვენი სახეა, ჩვენი იმიჯიც აქედან მოდისო" — ამბობდა ხშირად.

ჭადრაკის სამყაროს მრავალ ვირტუოზთან შეგხვედრივარ და მეგობრობის დღემდე ულორენეო კამპიონებსი, ნონა, ნანა, მაია, ირმა, მილენა და მრავალი სხვა მისი ცხოვრებით და მოგონებებით განუყრელი ნაწილია.

ქ-ნი ლილი „ჭადრაკის დედოფლის" სასახლის სახელის მოპოვებისთვის უკომპრომისო ბრძოლებში ახლდა ქართველ გოგონებს მოსკოვში, ბიშკინაში, სოფიაში, ბორჯომში, თელავში. ესწრებოდა ანატოლი კარპოვის მატჩებს მანილასა და მერანოში. მსაჯობდა 1986 წ. ერევანში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე. იყო ნორჩ მოჭადრაკეთა, მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს შესარჩევი ტურნირების არბიტრი.

ქ-ნი ლილი საქართველოს ჭადრაკის ფიდერაციის პრეზიდიუმის სასპორო წევრია. მიეწია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებები. მისი ღვაწლი ჭადრაკის სფეროში აღინიშნა „ღირსების ორდენით". საჭადრაკო მოღვაწეობას კარგად უთავსებდა შემოქმედებით — ლიტერატურულ საქმიანობასაც. პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი ნოველები, მოთხრობები და თარგმანები, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მის დიდ ნიჭსა და პიროვნულ დიაპაზონზე.

გულითადად ვულოცავთ ღვაწლმოსილ ქალბატონს, — ლილი წერაძეს — სახელოვან 80 წლის იუბილეს!!!

# ესეც მინიღყალბურთი...



ჩვენში თანდათანობით იკიდებს ფეხს მინიღყალბური. ამ დღეებში „ლადუნა-ვერეს" სანყელოსნო კომპლექსმა სწორედ ამ სახეობაში უმასპინძლა საქართველოს მეორე ჩემპიონატს (ზოგიერთი არაფოციალურ ჩემპიონატს უწოდებს, რადგან მასში მხოლოდ მოზარდები მონაწილეობენ). ამჯერად 1983-1987 წლებში დაბადებულებმა მოსინჯეს თავიანთი შესაძლებლობები. მისასალმებელია, რომ დანაწყისისთვის გუნდების რაოდენობა, ასე ვთქვათ, საკმაო იყო: „ოლიმპი", თსუ, „ბაღლი", „ქარიშხალა", „იმედი", „აისბერგი". გუნდები წრიულად, ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი გაითამაშეს სპრინზო ადგილები. ფინალში თსუ-მ სძლია „აისბერგს" 6:0 და 6:1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ოლიმპმა" ორჯერ მოუგო „იმედს" 6:1, 6:3, მეხუთე იყო „ბაღლი", რომელმაც სამიდან ორი შეხვედრა დაასრულა თავის სასარგებლოდ ქარიშხალასთან პაექრობაში 2:6, 6:1, 6:1.

# ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM

## რუსეთი — საქართველო
### ეროვნული ნაკრებები

## მატჩი, რომელსაც მთელი რუსეთი მოუთმენლად ელოდება

8 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები, ეროვნულ სტადიონზე შეიკრიბა და რუსებთან მატჩისათვის მზადებას შეუდგა. მასმედიის წარმომადგენელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ვარჯიშს გუღუასთან აღევნებდა თვალყურს, გუღუშმატივარი კი ერთი-ორი თუ მოიწანწკნა.

იმ თვრამეტ ფეხბურთელიდან, რომელნიც ნაკრებში გამოძახებულნი არიან, მხოლოდ ათი გამოცხადდა: დათო გვარამაძე, ზურა ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, დათო კვირკველია, ლაფო ბურდული, ვიტალი დარასელია, გიორგი დემიტრაძე, გიგა ჯამარაული და გიორგი ნემსაძე.

ნაკრებს ვერ დაეხმარებიან შოთა არველაძე და ავთი კალაძე, მათ ტარვიების აწუხებთ. დანარჩენი რვა მოთამაშე ეროვნულს მოსკოვში შეუერთდება და მოლიანი შემადგენლობით ივარჯიშებს. მთავარ მწვრთნელს მერაბ ჭყონდაისს ოთხშაბათის ვარჯიშზე თვალი ჩხაიბერიდან. ვარჯიში დაიწყო ჯერ ცვალებადი, ცოტა ხანში კარში დარტყმებზე გადავიდნენ. უცნაურად ის ჩანდა, რომ ერთი-ორამ თუ მოახერხა გვარამაძის კარის აღება. რაც შეეხება ჭყონდაისს, რომელიც ბიუჯეთან ერთად ვარჯიშობდა, მისი დარტყმული თითქმის ყველა ზუსტი გამოდგა. გუნდის ორად დაყოფის შემდეგაც მთავარი მწვრთნელი ყველან გამორჩეული იყო.

დაანონებით ერთსათიანი ვარჯიშის შემდეგ, რომელიც უკანასკნელი იყო ამ ციკლისათვის, ფეხბურთელები მხიარულად ტოვებდნენ მოედანს. გუნდში კი ოპტიმისტური განწყობა სუფევდა.

**გიორგი ნემსაძე: (გუნდის კაპიტანი):** „თუ გავითვალწინებთ, რომ წინა მატჩში ალბანეთთან დავმარცხდით და, მიუხედავად იმისა, რომ შანსი საერთოდ აღარ დაგვრჩა, გაწყობა ცუდი არ გვაქვს. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის რუსეთის ნაკრებთან თამაშის მნიშვნელობა, ამიტომ მაგმამაღლებით შევეცდებით, რომ თავი არ შევირცხვინოთ."

**ოთარ ხიზანეიშვილი:** „დიდი მონდომებით უნდა ვითამაშოთ. მართალია, ბევრი ჭორი გავრცელდა, თითქოს ჩაწყობა ხდება, რომ უნდა წვაგოთ. გეტყვით ერთს, რომ ჩვენ ფეხბურთელები ვართ და ამას არ დავუშვებთ. მტკიც, მოედანზე გავალთ ორმაგი შემართებით. წინასწარ ვერ გეტყვით, მოვიგებთ თუ წვაგებთ. მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შერცხვენილი არ დავბრუნდეთ საქართველოში".

**დათო კვირკველია:** „ყველანი ვცდებიან, არ წვაგოთ. გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ქართველებს გული არ დავწყვიტოთ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. შეიძლება გაწყვდა გაქვს, მაგრამ წაგო. წინასწარ ვერაფერს გაიგებ".

**ზურა ხიზანიშვილი:** „მშვენიერი ვითარებაა, ვეჭვდებით დიდი ბრძოლისთვის. ენახოთ რა მოხდება 11 ოქტომბერს..."

ვიტალი დარასელია: „სერიოზულად ვემზადებით, როგორც ყოველთვის. ყველანი შეეცდებით, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოთ მეტოქეს, ყველაფერი შაბათს გაირკვევა".

**გიორგი დემიტრაძე:** „მხიარული განწყობა და სერიოზული მზადება. აი, ასეა ჩვენი სიტყვა და ძირითადში ვითამაშებ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლება."

**გიორგი შაშიაშვილი:** „როგორც ნახეთ, ჩვეულებრივად ვივარჯიშეთ, განწყობაც კარგი გვაქვს. ძალიან დიდი დაძაბულობაა, რუსეთი მოგების შემთხვევაში გაღის, ჩვენ კი არანაირი შანსი აღარ დაგვრჩა. უბრალოდ, შევეცდებით ისე ვითამაშოთ, როგორც შეგვიძლია. ეს ხომ ისტორიაა და თავისთავად ეს მატჩიც ფეხბურთის ისტორიაში შევა".

**ლადო ბურდული:** „ვიცი, რომ ძალიან რთული თამაში გველის. როგორც გავიგე, ყველა ბილეთი გაყიდულია და თავისთავად ტრიბუნები სავსე იქნება. რუსები რევანშისთვის ეზიდებიან. ასე რომ, ორმაგად დაძაბული თამაში იქნება. აქ ხომ დაუმტკიცეთ ჩვენი ძალა. ახლა იქ თავი არ უნდა შევირცხვინოთ."

აი, ასეთი განწყობით დატოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა საქართველო.

ლ. ჯანკოტაძე.

## რუსეთი — საქართველო
### ახალგაზრდული ნაკრებები

## რუსეთში რკინიგზისა და ჯაჭის გავლით




რუსულ-ქართული საფეხბურთო დაპირისპირების პირველი რაუნდი დღეს, ახალგაზრდული ნაკრებების მატჩით, „ტორპედოს" სტადიონზე მოსკოვის დროით 20.30 საათზე დაიწყება.

გამზადებამდე ორ კვირაში ნაკრებში ორჯერ შეიცვალა შემადგენლობა. ბოლოს ეროვნულ ნაკრებში გაიწვიეს ორი ფეხბურთელი, ხოლო ორი ნაკრებიდან გაათავისუფლეს. ამ ცვლილებებმა ნაკრების ხასიათი ოდნავ შეცვალა. ახალგაზრდულ ნაკრებს ახლა ნაკლებად ახასიათებს ის ფიზიკური ბრძოლა, რომელიც ადრე ნაკრების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ითვლებოდა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ულტიმატუმი კუპერისათვის

არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვის „ლოკომოტივთან" ჩემპიონთა ღიგის მატჩი უკანასკნელი გამოდგეს ექტორ კუპერისათვის „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. სერია „ა"-ს ამპლონაწილე ტურში „მილანთან" დამარცხების შემდეგ „ინტერის" პრეზიდენტს მასთან მორატის მოთმინების ფიალა ამოევსო და

კუპერს უკანასკნელი შანსი მისცა.

„ნდელი წარმოსადგენი იყო, რომ მორატი ასეთ უღიმტატუმს წაუყენებდა მწვრთნელს, — ამას წინათ „ინტერში" ჩემპიონთა ღიგის ჯგუფური ტურის პირველ ტურში ხომ მისსავე მოედანზე გაანადგურა ინგლისელთა ფეხბურთის გრანდი „არსენალი". თუმცა, არც ის უნდა დავივიწყდეს, რომ „ინტერს" 14 სეპტემბრის შემდეგ არ გაუმარჯვია ანგლიაზე, სერია „ა"-ს ხუთი ტურის შემდეგ გუნდი მხოლოდ მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა. და კიდევ ერთი, — ექტორ კუპერის გუნდს მხოლოდ 4 გოლი აქვს გატანილი. ყოველივე ეს ცხადია, არ აკმაყოფილებს მასიმო მორატის.

„მილანთან" „სან-სიროზე" დამარცხების შემდეგ „ინტერის" პრეზიდენტმა განაცხადა:

„მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, კუპერმა ფურთხებით უნდა გაიაზლასოს თავისი შეცდომები. სწორედ ეს არის მწვრთნელის სამუშაოს ძირითადი ნაწილი. ახლა მას ღიმები ამოეწურა. უკმაყოფილო ვარ პროდუქციით, რომელსაც ვხედავთ. ვერ ვიტყვი, რომ „ინტერმა" „მილანის" წინააღმდეგ ცუდად ითამაშა, — უბრალოდ, შეცდომები იყო დაშვებული სათამაშო ტაქტიკის შერჩევაში".

რაც შეეხება „ლოკომოტივთან" მომავალ მატჩს, წარმატების შემთხვევაში, კუპერი, ცხადია, დაკარგულ ინიციატივას დაიბრუნებს და „ინტერიც" ჯგუფის ლიდერი გახდება.

საინტერესოა, რომ კუპერს თავისი 11-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე ერთხელაც არ მოუპოვებია ჩემპიონის ტიტული, — არც არგენტინელ „ლანუსთან" და „ურაკანთან", არც ესპანურ „მალიორკასთან" და „ვალენსიასთან" და არც „ინტერთან" ერთად. არადა, „ვალენსია" ჩემპიონთა ღიგის ფინალშიც გაიყვანა, რითაც საბერი მოიხვეჭა ევროპაში.

„ინტერიდან" წასულზე კუპერი ჯერ არ ფიქრობს. „მე შემიძლო წავსულიყავი გუნდიდან ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, თუმცა გამოვეთხოვე, ცოტაც მოვითმინოთ, — „ინტერი" აუცილებლად გამოვა სათამაშო კრიზისიდან", — ამბობს ექტორ კუპერი.

ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ „ინტერის" ბოლოდროინდელი ჩაფიქრება უკავშირდება ერნან კრესპოს გადასვლას „ჩელსიში" და კრისტიან ვიერის ტრავმას.

სხვათა შორის, იტალიურ პრესაში უკვე საუბრობენ იმაზე, თუ ვინ დაიკავებს „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტს კუპერის წასვლის გადასვლას. კანდიდატებად მოიაზრებიან ექტორის ამჟამინდელი თანაშემწე კორაო ვერდეტი. აგრეთვე ალბერტო ზაკერინი, „სამპდორიის" ექს-ლიდერი რობერტო მანჩინი და... სვენ-გორან ერიქსონი....

**P.S.** რამდენიმე დღის წინ „მილანის" გოლკიპერს დიდას დაბადებიდან 30 წელი შეუსრულდა. ცხადია, მან ეს საიუბილეო თარიღი საზეიმოდ აღნიშნა. სტუმრად მისი ახლობლები, თანაგუნდელები და მეგობრები იმყოფებოდნენ, რომელთა შორის იყო მილანის „ინტერის" ყოფილი მთავარმაწვრთნელი და ფეხბურთელი, ბრაზილიელი ფორვარდი **რონალდო**. ყურანაღტებთან საუბარში რონალდომ კიდევ ერთხელ გაიარტიყა ექტორ კუპერი. „მე დიდი პრობლემები მქონდა „ინტერთან", ვეცილობდი ურთიერთობის მოგვარებას მწვრთნელთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა და იძულებული გავხდი, გუნდიდან წავსულიყავი. ჩემი აზრით, ახლა „ინტერის" ყველაზე მთავარი პრობლემა კუპერია. თორემ გუნდში მარილაც ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობენ", — განაცხადა რონალდომ.



## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის!

გთავაზობთ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის მატჩებისათვის ევროპული ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის" ფსონთა კოეფიციენტებს:

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| გრსნია – დანია | 2,00 | 2,87 | 2,25 |
| უოთფორდი – ლიტვა | 1,33 | 4,00 | 8,00 |
| ავსტრია – ჩეხეთი | 3,00 | 3,00 | 2,20 |
| ბერმანია – ისლანდია | 1,25 | 4,50 | 10,00 |
| უნგრეთი – პოლონეთი | 2,25 | 3,40 | 2,60 |
| უელსი – ლატვია | 1,57 | 3,75 | 4,50 |
| უელსი – ირლანდია | 2,25 | 3,20 | 2,75 |
| რუსეთი – სანმარინო | 1,16 | 5,50 | 12,00 |
| სანმარინო – ჩრდ. ირლანდია | 1,12 | 6,00 | 15.00 |
| სლოვენია – ესპანეთი | 12,00 | 6,00 | 1,14 |
| ნორვეგია – ლუქსემბურგი | 1,02 | 8,50 | 41,0 |
| კვიპროსი – სლოვენია | 3,50 | 3,20 | 1,90 |
| თურქეთი – ინგლისი | 2,40 | 2,90 | 2,75 |
| ლიხტენშტეინი – სლოვაკეთი | 15,00 | 6,00 | 1,12 |
| ბელგია – ესტონეთი | 1,10 | 6,50 | 17.00 |
| ჩორვატია – ბულგარეთი | 1,44 | 3,75 | 6,00 |
| პოლანდია – მოლდოვა | 1,07 | 8.00 | 15.00 |
| უელსი – სერბეთი | 2,00 | 3,20 | 3,20 |
| სანრანგეთი – ისრაელი | 1,12 | 6,00 | 15,00 |
| იტალია – ანტიპაიჯანი | 1,02 | 8,50 | 41,0 |

### სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ

**I ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგ. | 7 | 7 | 0 | 0 | 26-2 | 21 |
| 2. | სლოვენია | 7 | 4 | 1 | 2 | 13-10 | 13 |
| 3. | ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 |
| 4. | კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-16 | 7 |
| 5. | მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 5-24 | 1 |

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუმინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 21-9 | 14 |
| 2. | დანია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-8 | 14 |
| 3. | ბოსნია | 7 | 4 | 0 | 3 | 6-7 | 12 |
| 4. | ნორვეგია | 7 | 3 | 2 | 2 | 8-5 | 11 |
| 5. | ლუქსემბ. | 6 | 0 | 0 | 6 | 0-20 | 0 |

**III ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჩეხეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 20-3 | 19 |
| 2. | პოლანდია | 7 | 5 | 1 | 1 | 15-6 | 16 |
| 3. | ავსტრია | 7 | 3 | 0 | 4 | 10-11 | 9 |
| 4. | მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 5-14 | 6 |
| 5. | ბელარუსი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-20 | 3 |

**IV ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 19-2 | 17 |
| 2. | ლატვია | 7 | 4 | 1 | 2 | 9-6 | 13 |
| 3. | უნგრეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-7 | 11 |
| 4. | პოლონ. | 7 | 3 | 1 | 3 | 9-6 | 10 |
| 5. | სან მარ. | 8 | 0 | 0 | 8 | 0-30 | 0 |

**V ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გერმანია | 7 | 4 | 3 | 0 | 10-4 | 15 |
| 2. | ისლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 13 |
| 3. | შოტლან. | 7 | 3 | 2 | 2 | 11-7 | 11 |
| 4. | ლიტვა | 7 | 3 | 1 | 3 | 7-10 | 10 |
| 5. | ფარერები | 8 | 0 | 1 | 7 | 6-18 | 1 |

**VI ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საბერძნ. | 7 | 5 | 0 | 2 | 7-4 | 15 |
| 2. | უსპანეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-4 | 14 |
| 3. | უკრაინა | 8 | 2 | 4 | 2 | 11-10 | 10 |
| 4. | სომხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-12 | 7 |
| 5. | ჩრდ.ირლ. | 7 | 0 | 3 | 4 | 0-7 | 3 |

**VII ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ინგლისი | 7 | 6 | 1 | 0 | 14-5 | 19 |
| 2. | თურქეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-5 | 18 |
| 3. | სლოვაკ. | 7 | 2 | 1 | 4 | 9-9 | 7 |
| 4. | მაკედონია | 8 | 1 | 3 | 4 | 11-14 | 6 |
| 5. | ლიხტენშ. | 7 | 0 | 1 | 7 | 2-20 | 1 |

**VIII ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბულგარ. | 7 | 5 | 2 | 0 | 13-3 | 17 |
| 2. | ჩორვატია | 7 | 4 | 1 | 2 | 11-4 | 13 |
| 3. | ბელგია | 7 | 4 | 1 | 2 | 9-9 | 13 |
| 4. | ესტონეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-4 | 8 |
| 5. | ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 1-18 | 0 |

**IX ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | 7 | 4 | 2 | 1 | 13-4 | 14 |
| 2. | უელსი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-7 | 13 |
| 3. | ფინეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-10 | 10 |
| 4. | სერბეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 9 |
| 5. | აზერბაიჯ. | 7 | 1 | 1 | 5 | 5-16 | 4 |

## ქალთა სიმბოლური ნაკრები

შიშას პრეზიდენტმა ზეკ ბლატერმა გუშინწინ დაასახელა იმ ფეხბურთელ ქალთა ვინაობა, რომლებიც მსოფლიო 2003 წლის ჩემპიონატის (ეს შეჯიბრება აშშ-ში მიმდინარეობს) სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს:

მეკარე: სანდუ როტენბერგი (გერმანია), მცველები: ლიანგ ვანგი (ჩინეთი), ჯოი ფოსეტი (აშშ), შაონენ პუპერი (კანადა), სანდრა მინერტი (გერმანია). ნახევარმცველები: მარენ მაინერტი, ბეტინა ვოგმანი (ორივე – გერმანია), მაღლ მოსტრემი (შვედეთი), შერონ ბოქსი (აშშ); თავდამსხმელები: ბირგიტ პრინცი (გერმანია), ჯიქტორია სვენსონი (შვედეთი).

„ვარსკვლავთა გუნდის" სათადარიგო მოთამაშეთა სია ასე გამოიყურება. ბრაზილიერი – კაროლინ ჯონსონი (შვედეთი), ნახევარმცველები: სანდვიე გულბრანდსენი (ნორვეგია), მარტა (ბრაზილია); თავდასხმელები: მია ჰემი (აშშ) და დაგნი შელგრენი (ნორვეგია).

## ჯაჭვი ორგოლიანწლეულის საუკეთესო პოზიციაზე ალიარეს

ფეხბურთის ლეგენდა დრაგან ჭაიჩი სერბიასა და ჩერნოგორიის უკანასკნელი 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. სპეციალურ გამოკითხვაში, რომელიც სერბიისა და ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით ჩატარდა, ხმების 54 პროცენტი მიიღო ჭაიჩმა. მეორე ადგილზე გავიდა დრაგან სტოიკოვიჩი, ხოლო მესამეზე — დეიან სავიჩევიჩი.

აქვე გეტყვით, რომ ჭაიჩი გასული საუკუნის 60-იან წლებში ბრწყინავდა. იუგოსლავიის ნაკრების ღირსება 85-ჯერ დაიცვა, „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში კი 5-ჯერ მოიპოვა ჭემპიონის ტიტული, 4-ჯერ — თასი.

## „რეალი" შეეჩეხება 16ი მილიონ დოლარს იხდიდა?



უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო მიეკუთვნება იმ ფეხბურთელთა რიცხვს, რომელთა ყოლაც ნებისმიერი გუნდი ისურვებდა. გასულ ზაფხულს სანდვარგარეთულ პრესაში ხშირად ვკვეხნებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ შევჩენკოს შეეძინი დაინტერესებული იყო მადრიდის „რეალი", თუმცა ეს მხოლოდ ჭორების დონეზე დარჩა.

ორიოდე დღის წინ კი „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს „რეალის" ხელმძღვანელობა მართლაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს მილანური კლუბის პრეზიდენტთან ბერლუსკონისთან შევჩენკოს „სანტიაგო ბერნაბეუში" გადახედვაზე. გალიანის თქმით, „რეალი" თურმე მზად იყო უკრაინელი ფორვარდის შესაძენად... 160 მილიონი დოლარი გადაეხადა.

„ბერლუსკონიმ არ მიიღო ესპანური კლუბის წინადადება და სწორედ ამის შემდეგ „რეალმა" იყიდა ხინჯიდის ზიდანი", — თქვა გალიანიმ.

საინტერესოა, რომ გასულ ზაფხულს რომან აბრამოვიჩმა 50 მილიონი ევრო შესთავაზა „მილანს" შევჩენკოში, მაგრამ უარი მიიღო.

## ვის დაასახელებენ საუკეთესოდ?

ევროპაში მიმდინარეობს საყურადღებო გამოკითხვა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში „ძველი სამყაროს" საუკეთესო ფეხბურთელების გამოსაკვლევად. რუსეთის საინფორმაციო საიტის — „გაზეტა.რუ" ცნობით, გამოკითხვაში წარადგენილნი არიან საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავები: ლევ იაშინი, გალინა იუსპეხი, იგორ ჩისლენკო, ოლეგ ბლოხინი, რინატ დასაევი, იგორ ბელანოვი, ვიქტორ ონოპკო.

## „მარსელს" ბარგზეა მოვნაბრა



საფრანგეთის ჩემპიონატის ოთხ ლიდერ კლუბს „მარსელის" მოთამაშე მწვრთნელმა ალენ პერენმა ულანასკნელებს განუცხადა, რომ დაინტერესებულია თავის გუნდში დაბრუნებით ნიგერიელი ფეხბურთელის რინატ ამუნიკეის ტრანსფერით. რომელმაც ორი წლის წინ „მარსელში" ითამაშა. ამუნიკეი ამჟამად ესპანურ „ვალენსიაში" თამაშობს.

## მსაჯს აკმეულატორი ესროლა

სკანდალური შემთხვევა მოხდა ესპანეთის თასის გათამაშების მატჩის დროს „ატლეტიოსა" და „ვალენსიას" შორის. ერთ მომენტში ამ ორკლუბელმა გულშემატკივარმა მატჩის არბიტრის მობილური ტელეფონის აკუმულატორი ესროლა. საბედნიეროდ, ამ მატჩი 83-ე წუთზე შეწყდა. ამ მომენტისთვის ანგარიში 1-1 იყო. გულშემატკივრის აღშფოთება გამოიწვია მსაჯის მიერ „ატლეტიოსის" კარში თერთმეტმეტრიანის დანიშნამ. მატჩის შემდეგ პოლიციამ დააკავა დამნაშავე პიროვნება.

## რობი კინს ირლანდიის ნაკრების გამარჯვების სჯერა

ცნობილია, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მეათე შესარჩევ ჯგუფში რუსეთ-საქართველოს მატჩის პარალელურად ტარდება არანაკლებ მნიშვნელოვანი ცხრატურიანი შეხვედრა შვეიცარიისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის. ამ უკანასკნელს აკლია გარი დოჰერტი და რიჩარდ დანი, რაც სერიოზული დანაკლისია ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბრაიან კერი-სათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ დოჰერტი ბოლო მომენტში ჩაერიცხოს შეიცავარიაში სათამაშოდ.

სანაღლოდ დაასრულა თავისი სანაკრებო კარიერა გარი კელიმ. აღმოჩნდა, რომ შვეიცარიელებთან გამარჯვული წინა მატჩი მისთვის უკანასკნელი ყოფილა ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში. ეს ფეხბურთელი, როგორც გახსოვთ, მსოფლიოს 1994 და 2002 წლების ჩემპიონატებში მონაწილეობდა. დისკვალიფიკაციის გამო ირლანდიის ნაკრებს დააკლდება კაპიტანი ქენი კანინგემი.

ასეთი პრობლემების მიუხედავად ბრაიან კერი წარმატებულ თამაშს გეგმავს შვეიცარიელებთან უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში.

„ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს. ფეხბურთილები თავგანწირვით იბრძოლებენ, რათა სასურველ შედეგს მიაღწიონ", — ამბობს კერი.

იმედიანადაა განწყობილი ირლანდიის ნაკრების ლიდერი რობი კინი, რომელმაც ყურანალიტებთან საუბარში განაცხადა: „შვეიცარიის ნაკრები ძლიერი მეტოქეა, თუმცა, თუ ყურადღებით და მონდომებით ვითამაშებთ, მისი დამარცხებაც შეიძლება. მით უმეტეს, რომ ასეთ პრინციპით თამაშებში ასპარეზობის დიდი გამოცდილება გვაქვს. მჯერა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავალთ."

## რომპარიო მოედანზე ბრუნდება



ოროვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანს უბრუნდება ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი რომარიო. „პარდადეგა" გამოწვეული იყო მძიმე ტრავმით, რომელიც 9 აგვისტოს „კრუზეიროსთან" მატჩის დროს მიიღო. 37 წლის ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ მალე ჩადგება ჩვეულ ფორმაში.

# ᲐᲡᲔᲪ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ...

ჭ რისტოფში, თამაშის დღეს, გუ რამ აკობაშვილი თავისი ბრიგადით იმ ღერძა ქართველებმა სასაუზმოდ მიიწვიეს. მადის გასახსნელად თითო ჭიქა კონიაკი შესთავაზეს. ტკბილ საუბარს მერე ჭიქა მოჰყვა, მესამე... ასე სამ საათამდე თითო-თითო ბოთლი გამოცალეს. მატჩის დაწყებას სამი საათი აკლდა, სასტუმროში რომ მიიყვანეს. კარადა შეზარხოშებულები საგონებელში ჩაეარდნენ, რა ეღონათ არ იცოდნენ. ბოლოს გერასმა მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა და დაარიგა, გასახდელში შევიდოდნენ თუ არა, მაშინვე ცივი შხაპი მიეღოთ, ახლოდან კი არავის დალაპარაკებოდნენ. მართლაც ასე მოიქცნენ. იგივე გაიმეორეს ტაიმებს შუა შესვენებაზეც.

მერიე ტაიმის დასრულებას თხუთმეტი წუთი აკლდა, გგერითით მაჯი ცოტო ვარდიაშვილი, წითელი ალმის ქნევით გურამს რაღაცას ანიშნებდა. ამ დროს მის სამოქმედო ტერიტორიაზე ფეხბურთელების ბაუნები არ იყო. თამაში მოიცნის მეორე ნახევარზე მიმდინარეობდა. თამაში შეჩერდა. აკობაშვილი გვერდით მსაჯთან მივიდა საკითხის გასარკვევად. ისედაც ყოველთვის ლოყებლაყუა ცოტო პაპანაქება სიცხეში უფრო გაწითლებულიყო და ახლაც ალბერი ასდიოდა. კითხვაზე თუ რა მოხდა, განმეტაცდა: — „ბურამ, ერთ თვალზე რომ ხელს ვიღებ, კარადა ქრებოდა. თვალს და ყველაფერი ერთმანეთში მერეოდა. თუ ამა ხარ, თამაში მალე დამთავრეო". გურამმა დაამშვიდა, თან შეხედვა თხუთმეტი წუთი რამენაირად გაეძლო, მერე კი დამთავრებისთანავე კვლავ ცივ შხაპში შესულიყო. ის მატჩი ფრედ — 0-0 დამთავრდა.

თამაშის შემდეგ, მოსკოველმა კომანდის სამიკვს მსაჯობა ფრთაზე შეაფასა. გურამს კი მაინც უსაყვედურა: — „ბურამ ვეფხოვიან, დღეს მოედანზე ვერ გეცნიშით. მომტკივნედა ზანტად დარბოდით". არბიტრმა თამაშების ხშირი მსაჯობა მოიშიშება და საკვებირო მსაჯთა კოლეგიის მისამართით საყვედური გამოთქვა: „ „ — კეთილი სამი მატჩის მსაჯობა ვის გაუგიაო". რაც შეეხება ვარდიაშვილს, თუ რატომ იწვევდა ღრმად, მასაუბრა „ომისის" შეკითხვაზე მოკლე იყო — „მაყვირებენ კეხების მესროდაო". ბოლოს როგორც გაირკვა, მატჩის კომისიაზე მათზე უარეს მდგომარეობაში ყოფილა.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲔᲜᲘᲜᲐ ᲑᲐᲥᲐᲜᲘᲫᲔ ᲠᲮᲐᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1971 წელს ნესტორ ჩხატარაშვილი, როგორც გუნდის უფროსი, თბილისის „დინამოს" საკითხებით დაკავშირებით მოსკოვში იყო მიელინებული. თავისუფალი დრო გამონახა და მოსკოვის „დინამოს" თამაშზე დაესწრო. მატჩს ჩვენი მსაჯი გიორგი ბაკანიძე სჯიდა. თამაშის მსვლელობის მომენტში, მაფერებით სავსე სტადიონზე დიქტორმა გამოაცხადა, რომ მატჩს ესწრებოდა სპეციალ კაქშინის დამსახურებული მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთის მსაჯი, თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი ნესტორ ოსიების ძე ჩ...შვილი. გვარმა რამდენიმე ასოს შეცვლის შედეგად ქართველად უცენზოროდ გაიფეხა. ბატონმა ნესტორმა თავი ვერ შეიკავა და როგორც მას სჩვეოდა, ხმამაღალი გადაძახილით. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა — „ამას ქართველის მეტი ვერავინ მოიფიქრებდაო". მართალია, ამის აღორძინება საკვებირო კატეგორიის მსაჯი გიორგი ბაკანიძე გახლდათ.

## ᲭᲐᲛᲬᲙᲔᲑᲔᲛᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲜᲐᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ




წარმატებული გამოდგა პირველი საერთაშორისო მატჩი ესტონეთში ქართველი ცხრაკეტნიკებისთვის. ჩვენებურები ბელგიელ თანატოლებთან პაექრობაში პირწმინდად დამარცხდნენ 0-3. საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ჯინჭარაძე, გიგაური, ლალაძე, ჭელიძე, მიქიაშვილი, ლაცაბიძე, გრიგალაშვილი, ხოჭავა, ფიფია, იაშვილი, ელიავა. პირველი ტაიმის მეორე მატჩში იტალიამ ესტონეთს მოუგო 2-0, დღეს მეორე ტურში საქართველოს ნაკრები იტალიელებს შეხვდება, ბელგიელები კი ესტონელებს დაუპირისპირდებიან.

# ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲕᲐᲜᲐᲮᲕᲝᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓ ᲠᲐᲒᲑᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ

**ᲓᲦᲔᲡ,** ავსტრალიაში იწყება რაგბში მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი, რომელიც ქართველებისთვის მართლაც რომ ისტორიული ღონა — „ბორჯღალოსნები" პირველად ქართული რაგბის ისტორიაში ასპარეზზე პლანეტის ამ უზნეშენელოვანეს შეჯიბრებაში. არც ის უნდა დაგვიფაროს, რომ გუნდური სათამაშო შეჯიბრებებიდან პირველმა სწორედ ქართველმა მორაგბეებმა შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურის გადალახვა. ასე რომ, რაგბის მოყვარულებს საკმაოდ საინტერესო სანახაობა ელით.

კლუბ სორელის თავკაცობით საქართველოს ნაკრები მონდომებით ემზადებოდა ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის. ისიც ცნობილია, რომ ჩვენი გუნდი ისპარჩებს „ც" ჯგუფში სხვა ერთ ავრიკის, ინგლისის, სამოას და ურუგვაის ნაკრებებთან ერთად. მწვრთნელმა კლუბ სორელმა მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპისთვის შემდეგი განაცხადი წარმოადგინა:

ირაკლი აბესელიძე („აერიაკი", საფრანგეთი), დავით ბოლაშვილი („უნივერსიტეტი"), გიორგი ჩხაიძე („ბორდო", საფრანგეთი), დავით ბაბუნაშვილი („ნანმში", საფრანგეთი), ვიქტორ დიდენკოლიძე („ვალანსი", საფრანგეთი), ოთარ ელიაშვილი („ყომპანე", საფრანგეთი), აქსენტი გიორგაძე („როუდი", იტალია), ირაკლი გიორგაძე („აია" ქუთაისი), ირაკლი გუნდაშვილი („უნივერსიტეტი"), პატიკო ჯიმშელაძე („უნაფილიეითიდ", საფრანგეთი), ვასილ კაკაძე („აგდე", საფრანგეთი), არჩილ ქვთარაშვილი („უნივერსიტეტი"), ბესიკ ხაჭაპურიძე („აგმა", საფრანგეთი), ბადრი ხეხელაშვილი („ყოჭანი", საფრანგეთი), გიგა ხინკლიძე („დიაფები"), ალექსეი კოპალიანი („ლანი, საფრანგეთი), მურად კვირიკაშვილი („ლუკი"), გია ლაბაძე („ტულონი", საფრანგეთი), ირაკლი მაჩაბელი („აკადემია"), ალექსანრე მარგველაშვილი („ოიოწანი", საფრანგეთი), ირაკლი მოდებაძე („აკადემია"), ზურაბ წვენელაშვილი („უნაფილიეითიდ", საფრანგეთი), ვანო ნადირაძე („ა.ს.ბ.ჰ." საფრანგეთი), სოსო ნიკოლაძეკი („პოვილიე", საფრანგეთი), გიორგი შუბითაძე („ბეზიერსი", საფრანგეთი), გიორგი წოწალაძი („ალბი", საფრანგეთი), მალხაზ ურუკაშვილი („უნაფილიეითიდ", საფრანგეთი), გრიგოლ იაშვილი („ბორდო", საფრანგეთი), ილია ზედგინიძე („ტარგეო", საფრანგეთი), თენგო ზიბზიბაძე („უნაფილიეითიდ", საფრანგეთი).

როგორც ხედავთ ამ განაცხადში არაა საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ლევან ცაბაძე. მიზეზი ისაა, რომ „ლეონსელი" ტრავმა აწუხებს, თუმცა არ არის გამორიცხული, ცაბაძე მაინც ჩავიდეს ავსტრალიაში და ნაკრებს პირველ თუ არა, მეორე ან მესამე მატჩში მაინც დაეხმაროს.

საბედნიეროდ, ტრავმირებული ირაკლი გუნდაშვილი, რომლის ნაცვლად კლუბ სორელმა საფრანგეთის „ლომპიენში" მოთამაშე სერგო გეგსარაძე გამოიძახა. დანარჩენი მორაგბეები თავს კარგად გრძნობენ და მონდომებით ემზადებიან პირველი მატჩისთვის. 12 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ეთამაშება ძლერ მტკიცედ — ინგლისის ნაკრებს.

საერთოდ, ინგლისს ფეხბურთისა და რაგბის სამშობლოდ თელავ. რაგბის ინგლისში ძალიან ბევრი მოყვარული ჰყავს. სპორტის ეს სახეობა ქვეყანაში პოპულარობით ფეხბურთს უთანაბრდება. და მაინც, ინგლისის მორაგბეთა ძლიერ ნაკრებს არასოდეს მოუპოვებია მსოფლიო თასი. ყველაზე ახლოს მიზანთან 1991 წელს იყო, როცა გათამაშების ფინალში გაეიდა, სადაც ავსტრალიის ნაკრებთან დამარცხდა. მანამდე, 1987 წელს მეოთხედფინალამდე მიაღწია და უელსელებთან დამარცხების შედეგად გამოეთიშა გათამაშებას. იგივე შედეგი გაიმეორა ოთხი წლის წინათაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მარცხი სამხრეთ ავრიკის ნაკრებთან მატჩში იწვნია. რაც შეეხება მსოფლიო თასის 1995 წლის გათამაშებას, ინგლისელთა მორაგბეები ნახევარფინალში დამარცხდნენ ახალზელანდიელებთან, შემდეგ კი მესამე ადგილი ფრანგებს დაეთმნეს.

ინგლისელი მორაგბეები ამჟერად უფრო უკეთესი შედეგის მიღწევას გეგმავენ. მათი შემადგენლობიდან გამორიცხეა რაგბის მსოფლიო ვარსკვლავი, 24 წლის ჯონ უილკინსონი, რომელიც წელს მარილაც რომ ბრწყინვალე ფორმაშია. ვიხსენებთ აგრეთვე მარტინ ჯონსონს, ჯეისონ ლეონარდს და ინგლისური რაგბის სხვა ვარსკვლავებს. წლეულს ინგლისის ნაკრებმა, როგორც ცნობილია, ეკვსი ერის პირველობა მოიგო და ცხადია, მიზნად აქვს დასახული, წარმატებითა სრულ ავსტრალიაშიც გაგრძელოს. ამ გუნდს ხომ ერთ-ერთი მთავარ ფავორიტად მიიჩნევენ... ინგლისელები სერიოზულად ემზადებიან ქართველებთან მატჩისათვის.

„საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლერია. მე ვნახე მისი თამაში იტალიის ნაკრებთან და გოლეტელი დავრჩი. ქართველები გამაოცებელ ფორმაში დაგვხვდნენ, — მათ იტალიელები ამჟამად დაჯახებენ. დარწმუნებული ვარ, მათთან მძიმე მატჩი გვექნება", — ეს სიტყვები ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ლაიე ეკუთვრად ეკუთვნის, რომელიც „ბორჯღალოსნთა" წინააღმდეგ 12 ოქტომბრის მატჩში ვარსკვლავებს გამოიყენებს.

ახლა „ც" ჯგუფში ქართველთა ნაკრების დანარჩენი მეტოქეების შესახებ. ერთ-ერთი ფავორიტი, რა თქმა უნდა, სამხრეთ ავრიკის ძლიერი ბაკრება, რომელიც ერთხელ უკვე ფლობდა მსოფლიო თასს: 1995 წელს ფინალში ახალი ზელანდიის ნაკრები დაამარცხა. წინა გათამაშებაში კი მესამე ადგილს დასჯერდა. 1999 წლის შემდეგ სამხრეთ ავრიკელთა გუნდში თითმაინც ცვლილებები შედარებით შეზღუდული იყო, თუმცა „ჩერკეცების" თავკაცმა რუდი სტრაუსმა განაცხადა, რომ ისინი შეკიბრების ფავორიტების და ინგლისელების არაფრით ჩამოუვარდებიან. სამოაში მცხოვრებთა რაოდენობა 170 ათასს არ აღემატება და საკმაოდ ძლიერი მორაგბეთა ნაკრები გუნდი 3 ყავი. თავად განსაკუთ სამოელები ორჯერ (1991, 1995 წლებში) გაეიდნენ მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხედფინალში, შარშან კი მერედფინალამდე მიაღწიეს. სამოას ნაკრების ვარსკვლავად ვაიგა თვიგამალა და სტეფენ ბაშოპი მოიაზრებიან, თუმცა ორივე მათგანი გუნდს დაალდება ავსტრალიაში. სამოას გუნდის მთავარი მწვრთნელს ჯონ ბოსის მიზანია ავსტრალიაში ლამაზი რაგბის ჩვენება, ხოლო ქართველებსა და ურუგვაელებს სერიოზულ მეტოქეებად არ მიიჩნეს. ეტყობა ჯონ ბოსს არასოდეს უნახავს საქართველოს ნაკრების თამაში, ურუგვაელებსა კი რა მოგახსენო, — ამ გუნდის დამარცხება არა გგონია „ბორჯღალოსნთათვის!" გადაუჭრელი ამოცანა იყოს. ურუგვაელებს აშკარა აუტსაიდერად თელიან.

ამგვარი, „ბორჯღალოსნები" თავგანწირვით იბრძოლებენ თითოეულ მატჩში. მთავარია, მსოფლიო სარაგბო ელიტას დავანახოთ, რომ დიდ რაგბს საქართველოშიც თამაშობენ. საქართველოს ნაკრების შემდგომ ეტაპზე გასვლა სათუოა, თუმცა იქნებ სასწაული მოხდეს.

### გაგაცნობთ „ც" ჯგუფის დანარჩენი გუნდების სრულ შემადგენლობებს:

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ**

**მთ. მწვრთნელი** კლაივ ვუდვორდი

**შეკვანება:** მარტინ კორი, ლოურენს დალაფონი, ნილ ბეკი, რიჩარდ ჰილი, ჯო უოკლი, მარტინ ჯონსი (კაპ), ბენ კეი, დენი გრეგოური, სტივ ტომპსონი, მარკ რეგნებერგი-სონ ლეონარდი, ლუის მუდი, ფილ ვიკერი, დორიან ვესტი, ვილიან უოტი, ტრევორ ვუდმანი.

**უკანა ხაზი:** ჯონ ლუისი, ჯეისონ რობინსონი, დენ ლუგარი, იან ბოლშოუ, ბენ კოენი, უილ გრინვუდი, მაკ ტინდალი, სტიუარტ ებოტი, მაიკ ქუთი, პოლ გრეისონი, ჯონი უილკინსონი, მეტ დოუსონი, კირან ბრაკენი, ედდი გომპოსალი.

**ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ**

**მთ. მწვრთნელი:** რუდი სტრაუსი

**შეკვანება:** რაჩარდ ბენსტი, ხრისტო ბეზუიდენჰუ, შელბორნ ბუში, ბაკს ბოთა, შალკ ბრუგერი, დენი კუტზე, კორნე კრუგერ (კაპ), ვიქტორ მატეოელი, ფან რაუტენბახი, დენი როსაოუ, დეილ სმიტენი, ენდრო სტოლცი, ჟუან სმიტი, ჯონ სმიტი, ლოურენს სკპკა, ჯო ფენ ნიკერკი.

**უკანა ხაზი:** დე ვეტ ბერი, ტინუს დელპორტი, ნილ დე კოკერ, ტაკ ფუური, ვერნერ ხრიეგი, დერიკ ჰუგარდი, ლუის კოენი, რიკარდო ლუბშერი, იორი მიულერი, ბრეიტნ პეტლე, სტეფენ ტერბალში, იაკო ფან დერ ვესტჰაიზენი, იოსტ ფან დერ ვესტ ჰაიზენი, ქრის უილემს.

**ᲡᲐᲛᲝᲐ**

**მთ. მწვრთნელი:** ჯონ ბო

**შეკვანება:** სემო სტიტი (კაპ), დეს ტუიავი, ჯონათან მერედიტი, მაზორინი სტუვეგერი, საიმონ ლემალუ, კას ლილამანეი, ჯერემი ტოშეული, ტომატო ლუპოლეი, ოპტა ლეეი ლოფაიალლი, კიტონა ვილიამპა, სიოასი ვაილი.

**უკანა ხაზი:** სტიფენ სოლიალო, დენინე ტორელი, ჯონ სუნიო, პაენერ ვილი, ერლ ვაა, ლომე ფაატუ, ბრაიან ლემა, დეილ რასმუსენი, ტერი ფანოლუა, რონი ლოსატე, რონ ფანტანე, დომინიც ფიანატი, ფაატონუ ფილი, სალოსი ტაგიკაკიბაუ.

**ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ**

**მთ. მწვრთნელი:** დიეგო ორჰეჰუა

**შეკვანება:** რიდრიგო კაპო, ერნან პონტე, ნიკოლას ბრაჭაინი, იგნასიო ჯონტი, ნიკოლას გრილე, მარკო გუტიერესი, ხუან მიგელ ალვარესი, ხუან ალზუეტა, ხუან კარლოს ბადო, ხუან მანადო, პაბლო ლემინო, ედუარდო ბერტეი, რიდრიგეტო სანჩესი, გილერმო სტრასსე, დიეგო ლამელასი, ხუან ანდრეს პერესი.

**უკანა ხაზი:** ხუან რამონ მენჩაკა, ხუციენ პასტორაც, ალფონსო კარდინასი, კარლოს ბალთაზარი, ემილიანო ობარა, ხოსე ვიანა, ხოაკინ დე ფრანტისი, მარტინ მენდარო, დიეგო რივიერა, დიეგო ავირე (კაპ), სებასტიან ავირე, ბერნარდო ამარილო, ემილიანო კაფერა, ხუან კომპომარი.

**აქვე გთავაზობთ მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფებსა და მატჩების გარიგებს:**

**„ა" ჯგუფი: ავსტრალია, არგენტინა, ირლანდია, რუმინეთი, ნამიბია.**

**„ბ" ჯგუფი: საფრანგეთი, შოტლანდია, ფიჯი, იაპონია, აშშ.**

**„ც" ჯგუფი: სამხრეთ ავრიკა, ინგლისი, სამოა, ურუგვაი, საქართველო.**

**„დ" ჯგუფი: ახალი ზელანდია, უელსი, კანადა, იტალია, ტონგა.**

**10 ოქტომბერი**
ავსტრალია — არგენტინა

**11 ოქტომბერი**
ახალი ზელანდია — იტალია, საფრანგეთი — ფიჯი, ირლანდია — რუმინეთი, სამხ. ავრიკა — ურუგვაი.

**12 ოქტომბერი**
უელსი — კანადა, შოტლანდია — იაპონია, ინგლისი — **საქართველო.**

**14. ოქტომბერი**
არგენტინა — ნამიბია.

**15 ოქტომბერი**
ფიჯი — აშშ, იტალია — ტონგა, სამოა — ურუგვაი.

**17 ოქტომბერი**
ახალი ზელანდია — კანადა.

**18 ოქტომბერი**
საფრანგეთი — იაპონია, სამხ. ავრიკა — ინგლისი, ავსტრალია — რუმინეთი.

**19 ოქტომბერი**
უელსი — ტონგა, **საქართველო** — სამოა, ირლანდია — ნამიბია.

**20 ოქტომბერი**
შოტლანდია — აშშ.

**21 ოქტომბერი**
იტალია — კანადა.

**22 ოქტომბერი**
არგენტინა — რუმინეთი.

**23 ოქტომბერი**
ფიჯი — იაპონია.

**24 ოქტომბერი**
ახალი ზელანდია — ტონგა, სამხ. ავრიკა — **საქართველო.**

**25 ოქტომბერი**
იტალია — უელსი, საფრანგეთი — შოტლანდია, ავსტრალია — ნამიბია.

**26 ოქტომბერი**
არგენტინა — ირლანდია. ინგლისი — სამოა.

**27 ოქტომბერი**
იაპონია — აშშ.

**28 ოქტომბერი**
**საქართველო** — ურუგვაი.

**29 ოქტომბერი**
კანადა — ტონგა.

**30 ოქტომბერი**
ნამიბია — რუმინეთი.

**31 ოქტომბერი**
საფრანგეთი — აშშ.

**1 ნოემბერი**
სამხ. ავრიკა — სამოა, ავსტრალია — ირლანდია, შოტლანდია — ფიჯი.

**2 ნოემბერი**
ახალი ზელანდია — უელსი, ინგლისი — ურუგვაი.

თენგიზ ჩოგანიძე

# საგზურები გაინაწილეს...

თბილისის ჰაბრაკის სასახლეში დასრულდა დედაქალაქის პირველობა ჰაბრაჟში 10 წლამდე ჩაბუკების და 16 წლამდე გოგონების შორის, რომელიც ინვიდუალურად საქართველოს ჩემპიონობის შესარჩევი ეტაპიც იყო.

ჰაბრაჟთა შორის 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ნიკა ვოლკოვმა (მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი). ჩემპიონის ნახევარი ქულით ჩამორჩა გაგა ბერაძე. 7 ქულით მესამე ადგილზე გავიდა გიორგი ლომიძე. 6-6 ქულა მოაგროვეს და მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს ირაკლი მერაბიშვილმა და შალვა ნადირაშვილმა. დებიუტების თანხმობად ეს საუკეთესო ხუთეული ამავე ასაკის საქართველოს პირველობაში ისასპარეზებს.

16 წლამდე ასაკის გოგონათა შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდა, 6 ქულით ყველა ადრეა ხაჭიმამ (მწვრთნელი ემილ მიქაელიანი). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ანა ბუცხრიკიძე. 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს თამარ გახოკიძემ და თაკო სამნაიშვილმა. ყყეთესი კოეფიციენტი გახოკიძეს აღმოაჩნდა და მესამე ადგილიც მას მიეკუთვნა, თუმცა, ეს მისთვის დიდი ვერაფერი ნუგეშია, რადგან საქართველოს პირველობის მხოლოდ ორი საგზური თამაშდებოდა და, ისინი ხაჭიმამ და ბუცხრიკიძემ მიიღეს.

დღეს იწყება თბილისის პირველობა 14 წლამდე ვაჟებსა და 10 წლამდე გოგონათა შორის.

# NBA ნბა

## სანამ ახალი სეზონი დაიწყება...

ცოტაც და ნბა-ს მორიგი რეგულარული ჩემპიონატი დაიწყება. მანამდე კი გუნდები საკონტროლო მატჩებს მართავენ.

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" 107:89 დაამარცხა „გოლდენ სტეიტი". ეს შეხვედრა პავიან კუნცუებზე ქალაქ ჰონოლულუში ჩატარდა და ადგილობრივი გულშემატკივრების დიდი ინტერესი გამოიწვია. „ლეიკერსის" შემადგენლობაში საუკეთესო, რა თქმა უნდა, შაკილ ონილი იყო, რომელმაც თავის გუნდს 16 ქულა შესძინა. გერი პეიტონის ანგარიშზე კი 12 ქულაა დაფიქსირებული. ქარლ მელოუნმა მხოლოდ 7 ქულა დააგროვა, მატჩში მონაწილეობა არ მიუღია კობი ბრაიანტს, რომელმაც ამ ზაფხულს მიუღო ოპერაცია გაიქეთა.

საინტერესო გამოდგა შეხვედრა „ატლანტასა" და „ქლივლენდს" შორის. „ქლივლენდმა" მხოლოდ 3 ქულით გაიმარჯვა. ამ გუნდის შემადგენლობაში ითამაშა ლებრონმა, რომელმაც მხოლოდ 6 ქულა შესძინა თავის გუნდს. საყურადღებო იყო ლიტველი ეიძერგისის ილგაუსასი, რომლის ანგარიშზე 19 ქულაა. სხვა საყურადღებო მატჩები: „სან ანტონიო" — „მემფისი" 105:93, „ტორონტო" — „ვაშინგტონი" 76:71, „ბოსტონი" — „დენვერი" 89:104, „ინდიანა" — „ჩიკაგო" 96:82, „ნიუ ორლეანი" — „ორლანდო" 105:98, „სიეტლი" — „პიუსტონი" 98:78.

# დეივან კოტუროვიჩი „ფინიქსში" ითამაშებს

**ნბა-ს კლუბმა „ფინიქსმა" კონტრაქტი გააფორმა 31 წლის სერბ ცენტრფორვარდთან დეივან კოტუროვიჩთან, რომელიც გასულ სეზონში იტალიური „ვირტუსის" დირსებას იცავდა. მისი საშუალო მაჩვენებელი ერთ მატჩზე 10,5 ქულას შეადგენდა. კოტუროვიჩის უთამაშოა უეფასლავიაზე, გერმანიაზეშიც, თურქეთსა და საფრანგეთზეც. მან შარშან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იუგოსლავიის ნაკრებთან ერთად.**

# ევროპული გუნდები ნბა-ში?

ნბა-ს კომისარმა დევიდ სტერნმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალში ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატებში ასპარეზობა... ევროპელ კლუბებსაც შეეძლებათ. ეს მომხიარულ ამბავსეულის დასასრულს მოახდა, რადგან ამ იდეის განხორციელებისას ევროპის წამყვანმა გუნდებმა რამდენიმე პირობა უნდა დაიმაყოფილონ. პირველ რიგში, უნდა ჩჭირდეთ ისეთი სპორტული არენა, როგორიც ნბა-ს კლუბებს აქვთ. გარდა ამისა, გულშემატკივართა დიდი არაშია უნდა ჰყავდეთ და ფინანსურადაც ძლიერები უნდა იყვნენ.

# სანდერსმა ვბო-ს ჩემპიონის ტიტულზე უარი თქვა

ვბა-ს კონგრესს, რომელიც მოსკოვში ტარდებოდა, დავსწრო სამხრეთაფრიკელი მემიგზურნახანი მოკრივე კორი სანდერსი. მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უარს ამბობს ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე, რომელიც ვლადიმერ კლიჩკოს დამარცხებით მოიპოვა (ეს ბრძოლა ამა წლის გაზაფხულზე გაიმართა).

ამიერიდან სანდერსი იასპარეზებს ვბე-ს გვიდით გამართულ ბრძოლებში. ის ამ ორგანიზაციის რეიტინგში მესამე ადგილზეა.

პირველ ბრძოლას სანდერსი ჯონ რუისთან გამართავს, თავის მხრივ, ვიტალი კლიჩკო, რომელიც ამ ზაფხულს ლეონოსთან დამარცხდა, შეეპრძოლება კანადელ კორკ ჯონსონს. ამ ორ ბრძოლაში გამარჯვებული მოკრივეები ერთმანეთს შეხვდებიან ვბე-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლიუისთან ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად. იმ შემთხვევაში, თუკი ლიუისი წავა დიდი რინგიდან, მაშინ ჩემპიონის ტიტულს პრეტენდენტი მიიღებს.

# რაიკონენი თავისას ეცდება

მიუხედავად იმისა, რომ კიმი რაიკონენს „ფორმულა-1"-ის წლევანდელი სეზონის მოგების მინიმალური შანსი აქვს, პილოტი ფარ-ხმალს დაჟარას არ აპირებს. „დასაკარგი არაფერი მაქვს. ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. სეზონის ბოლო ეტაპზე შევეცდები წარმატების მიღწევას". — განაცხადა პილოტმა. ისიც უნდა ითქვას, რომ იაპონიის „გრან-პრის" მოგება და რაიკონენის მსოფლიო ჩემპიონობა დამოკიდებული იმაზე, რომ მიაღწიოს შეამაგრებს ერთი ქულაც არ უნდა აიღოს. „სრულებითაც არ ვფიქრობ მიხაელ შუმახერზე, მხოლოდ იაპონიის რთული ტრასა მაფიქრებს, იქ ხომ 17 მოსახვევია" — განაცხადა რაიკონენმა.

# სატო ვილნევის ნაცვლად

„ფორმულა-1"-ის გუნდ „ბარის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იაპონიის „გრან-პრის" გათამაშებაში ჟაკ ვილნევის ადგილს ტაქუმა სატო დაიკავებს. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ეჭსჩემპიონმა ვილნევმა თავად სთხოვა „ბარის" ხელმძღვანელობას, გაეთავისუფლებინა რბოლისგან.

# მნიშვნელოვანი სპორტული გაღაცემები




**10 ოქტომბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** საქართველოს ჩემპიონატი: ისუ — თბილისის „დინამო" (15.00). **მე-9 არხი.** „ქართული ფეხბურთი" (14.50) იმედი. სპორტული პროგრამა „ასი" (10.30), რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატის გასწნის პირდაპირი ტრანსლაცია ფატარიდან (15.30). *HTB плюс спорт.* „გიგანტები ევროპის ჰიტ-პარადი" (13.20, 17.30). „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (15.05), „ფუტბოლ შენდეილი" (17.00). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.30). ახალგაზრდული გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. რუსეთი — საქართველო (20.55), გერმანიის ჩემპიონატის (0.30), ბრაზილიის ჩემპიონატის (1.30). *HTB плюс спорт.* ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაიები, დაშნა. ქალეები, რაპირა. გუნდური ფინალები (11.45, 2.55 — ვაიები, ხმალი. ქალეები, დაშნა. გუნდური ფინალები, პირდაპირი ტრანსლაცია). ჰოკეი. ნხლ-ს ჩემპიონატი (6.00). EUROSPORT. ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მეოთხე დღე (13.15). მეხუთე დღე (3.00). ჩოგბურთი: „ატპ". პირდაპირი ტრანსლაცია (14.30), „ატპ". მეოთხე დღე. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მიმოხილვა (21.30), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გზატკეცილი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.00).

**11 ოქტომბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: სსუ — სტე. რეპორტაჟი ვერის ბაღის კალათბურთის სასახლიდან (15.00). რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.00). **მე-9 არხი.** გადაცემა „ოლიმპი" (22.30). **იმედი.** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (18.30). *HTB плюс футбол.* ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ახალგაზრდულ გუნდებს შორის: რუსეთის ნაკრები — საქართველოს ნაკრები (13.15). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.45). „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (16.15). „ჩემპიონთა ლიგის ყურანაღი" (18.05). „ეფროფანტები", „არსენალი" (19.15). ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. შოტლანდია — ლიტვა (19.55, პირდაპირი ტრანსლაცია), თურქეთი — ისლანდია (21.55, პირდაპირი ტრანსლაცია). საბერძნეთი — ჩრდ. ირლანდია (23.55, პირდაპირი ტრანსლაცია), უელსი — სერბია და ჩერნოგორია (1.55). *HTB плюс спорт.* ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაიები, ხმალი. ქალები, დაშნა (13.20, 2.55). ველოსპორტი. გზატკეცილი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55). ქალები — ინდივიდუალური რბოლა. პირდაპირი ტრანსლაცია (21.40). EUROSPORT. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბეშნიერი საათი" (13.15). ჩოგბურთი: „ატპ". პირდაპირი ტრანსლაცია (16.00). „ატპ". პირდაპირი ტრანსლაცია (19.00). ველოსპორტი. გზატკეცილი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური რბოლა. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია (22.00). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. ლუსიფაცია (1.30).

**12 ოქტომბერი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ჩოგბურთი. საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. რეპორტაჟი ლ. მესხის სახოგბურთო აკადემიიდან (15.15). **მე-9 არხი.** გადაცემა „ოლიმპი" (14.35), „მსოფლიო ფეხბურთი" (19.30). მზრა. ფეხბურთი (1200). *HTB плюс футбол.* ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ჰოლანდია — მოლდოვა (11.25), შოტლანდია — ლიტვა (13.05), თურქეთი — ისლანდია (14.50), საბერძნეთი — ჩრდ. ირლანდია (16.35), უელსი — სერბია და ჩერნოგორია (18.20), „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (20.25). ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა (22.25). ბრაზილიის ჩემპიონატი „გოიასი" — „ფლუმინენსე". პირდაპირი ტრანსლაცია (22.55). „ჩემპიონთა ლიგის ყურანაღი" (1.05). *HTB плюс спорт.* ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები, ხმალი. ვაიები, რაპირა. გუნდური ფინალები (11.20), ჭიდაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი (17.25 — მიმოხილვა). ველოსპორტი. გზატკეცილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაიები. ინდივიდუალური რბოლა. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55). ტრიალონური კრივი (1.30). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. შესარჩევი მატჩები (12.00). ჩოგბურთი. „ატპ". ფინალი (16.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი (1.00, აშშ-დან).

გთავაზობთ ფრანგულ-ამერიკულ სუნაზოობას მამაკაცებისათვის, ასევე სამასაჟო კრემებს.
ტელ.: 93-57-50, ნინო.

გთავაზობთ ენერგიის მოსამატებელ საშუალებას გარანტიით.
ტელ.: 93-57-50, ნინო.

## გეპატიჟებათ

### შვას „აისის" ყვავილების სალონი

მოსახლეობას და ორგანიზაციებს ვთავაზობთ ვარდებისა და ეგზოტიკური ყვავილების მრავალფეროვნებას – ულამაზეს საქორწინო თიბიფულებს, რიტუალებისა და სადღესასწაულო დარბაზების გაფორმებას, ოთახის დეკორატიულ ყვავილებს, მომსახურებას ადგილზე მიტანით.
დარეკეთ: 384-695; 8-93 30-25-45, 8-77 41-55-23.
მისამართი: ყაზბეგის 3ა.



მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

## კროსვორდი № 78



**ჰორიზონტალი:** 3. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ფეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, 7. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 8. ღელეწმარღი ქართველი მთამსვლელი, 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 13. სპორტის ზამთრის სახეობა, 15. ქართული ფეხბურთის ლეგენდა, 16. საჩოგბურთო ინვენტარი, 18. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი — თავდამსხმელი, 21. ცნობილი ოცრტი ფეხბურთელი-გამომამშებელი, 22. „ჩელსის" ყოფილი მოთამაშე-მწვრთნელი, 24. სპორტის სწრაფლისო სახეობა, 26. ევროპაში მოთამაშე ურუგვაელი ფეხბურთელი, 28. ქართველ მორაგბეები მოიხსენიებიან, როგორც ..., 29. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 30. გერმანიის საფეხბურთო კლუბი.

**ვერტიკალი:** 1. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 2. სფფ-ს პრეზიდენტი, 3. მოღრინაზებული მშვილდისარი, 4. „ინტერის" ფეხბურთელი, იტალიის ნაკრების წევრი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 5. აწ გარდაცვლილი ქართველი სპორტული კომენტატორი, 6. წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი, 9. პროფესიონალი მძღოლი, 11. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 12. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 13. ფეხბურთელ შაშის სახელი, 14. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი-ლეგიონერი, 17. ფეხბურთელ იორკის სამშობლო, 18. ვიერის სახელი, 19. „ვალენსიის" სტადიონი, 20. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 23. მსაჯი, ანუ ..., 25. ფეხბურთელ კანავარის სახელი, 27. იტალიის საფეხბურთო კლუბი.

**შეადგინა ნოდარ ჯაბუაძემ**

## №77 კროსვორდის პასუხები:

**თარასულად:** 2. ფინეში, 6. უნი, 8. კალათბურთი, 11. ტაიმი, 13. შაიბა, 15. გოსსალეი, 16. ენდო, 18. „ნანტი", 20 აფრიბაში, 21. ელო, 23. გეტრი, 24. კოპა.

**ზვეულად:** 1. გელტი, 2. ფრაკი, 3. ნოა, 4. შუბი, 5. ოში, 7. არნაუ, 9. კილანინი, 10. კარპოვი, 12, ვლასოვი, 14. ანთაძე, 15. გონგი, 17. წრიაში, 19. ისარი, 22. ღიტ, 23. გო.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური ორგანო

ოლიმპიური ენციკლოპედია

ოლიმპიური ისტორია

ოლიმპიური ფილოსოფია

ოლიმპიური ფილატელია

ოლიმპიური ნუმიზმატიკა

ოლიმპიური ფოტოგალერეა

ოლიმპიური ვიდეოგალერეა

ოლიმპიური ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ლიტერატურა

ოლიმპიური ფორუმი

ოლიმპიური ბიზნესი

ოლიმპიური ბაზარი

ოლიმპიური ბანკი

ოლიმპიური ბანკი

ოლიმპიური ბანკ